საქართველო

სახელმწიფო აუდიტის სამსახური

№ 73/20

„20" 11 2013

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის

გამგებელს

ბატონ გოგა გულორდავას

ბატონო **გოგა,**

გიგზავნით წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მიერ 2011-2012 წლებში სოფლის მხარდაჭერის პროგრამით განხორციელებული პროექტების შესაბამისობის აუდიტის 2013 წლის 20 ნოემბერს დამტკიცებულ №44/00 ანგარიშს.

დანართი: 20 ფურცელი.

პატივისცემით,

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების
ბიუჯეტების აუდიტის დეპარტამენტის
უფროსი **ზურაბ ბუცხრიკიძე**

საქართველო
წალენჯიხის
მუნიციპალიტეტის
გამგეობა
შემოს. № 1775
„27" XI „13"

ქუთაისი, 4600, ირაკლი აბაშიძის ქ. N22 ტელ: (+99532)2438282 ფაქსი: (+99532)2438164

სახელმწიფო აუდიტის სამსახური

"ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ"

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების
ბიუჯეტების აუდიტის დეპარტამენტის
უფროსი

ზურაბ ბუცხრიკიძე

„20"_____11_____" 2013 წელი

ეგზ. № 1

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მიერ 2011-2012 წლებში განხორციელებული „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" შესაბამისობის აუდიტის ანგარიში №44/00

2013 წელი

სარჩევი

აუდიტის მიზანი 3

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა 3

აუდიტორის პასუხისმგებლობა 3

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" მიმოხილვა 4

პირობითი მოსაზრების საფუძვლები 6

- პირგასამტეხლოს არასწორი აღრიცხვა 6
- წინასწარ ანგარიშსწორებისას წარმოდგენილი გარანტიები 8
- მიმწოდებლებისათვის დაუსაბუთებლად გადარიცხული თანხები 11
- 2012 წლის 1 ივლისის შემდეგ გაფორმებული ხელშეკრულებები 12
- სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა 13
- ხელშეკრულებებისა და მოსახლეობის კრების ოქმის შეუსაბამობა 14
- მოსახლეობისათვის გადაცემული მასალები 14
- მიზნობრიობის განსაზღვრის კრიტერიუმები 15

სხვა მნიშვნელოვანი საკითხების ხაზგასმა 18

- ანგარიშგების ხარვეზი 18
- ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა 18
- გადასწორებული ხელშეკრულება 18
- პროექტის ხარვეზი 19
- გზის მოხრეშვის სამუშაოები 19
- აუდიტის დასკვნა 19

აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი 20

აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები 20

აუდიტის მიზანი

აუდიტის მიზანია:

✓ დასკვნის გაცემა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მიერ 2011-2012 წლებში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში განხორციელებული საქმიანობის კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე.

აუდიტის დასკვნაში ასევე აისახა:

✓ მართლზომიერი ხარჯვა - საბიუჯეტო სახსრების ეკონომიურად და პროდუქტიულად ხარჯვის ვალდებულების დაცვა.

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა ორგანიზაციაში შიდა კონტროლის სისტემის იმგვარი დანერგვა და ზედამხედველობა, რომ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მიერ „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში განხორციელებული საქმიანობა შეესაბამებოდეს მოქმედ კანონმდებლობასა და მარეგულირებელ ნორმებს. გარდა ამისა, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია აუდიტორებისათვის მოწოდებული ინფორმაციის სისწორესა და სისრულეზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორი აუდიტის საფუძველზე გამოთქვამს მოსაზრებას, თუ რამდენად შეესაბამება აუდიტის ობიექტის მიერ განხორციელებული საქმიანობა მოქმედ კანონმდებლობასა და მარეგულირებელ ნორმებს, ასევე რამდენად ეკონომიურად და პროდუქტიულად არის განხორციელებული ფინანსური სახსრების ხარჯვა. აუდიტი ჩატარებულია უმაღლესი აუდიტორული ორგანოების აუდიტის საერთაშორისო

სტანდარტების (ISSAI) მიხედვით და აუდიტორების მიერ დაცულ იქნა ეთიკის ყველა ის მოთხოვნა, რასაც ითვალისწინებს აღნიშნული საერთაშორისო სტანდარტები, საქართველოს კანონმდებლობა და სხვა მარეგულირებელი ნორმები.

პროფესიული განსჯის საფუძველზე აუდიტორი არჩევს პროცედურებს, რომლებიც მისი მოსაზრებით, საჭიროა აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად და აუდიტის ობიექტის საქმიანობაში არსებული უზუსტობებისა და რისკების შესაფასებლად, რაც, თავის მხრივ, გამოწვეულია განზრახ არამართლზომიერი ქმედებით ან შეცდომით.

ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები წარმოადგენს საკმარის და შესაფერის საფუძველს აუდიტორული დასკვნების გასაკეთებლად.

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" მიმოხილვა

2011-2012 წლებში მთავრობის დადგენილებებით დამტკიცდა „სოფლის მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამა[1]". ის ემსახურება ადგილობრივი მნიშვნელობის საზოგადოებრივი საჭიროებების გადაწყვეტას. პროგრამის ფარგლებში წალენჯიხის მუნიციპალიტეტში განხორციელდა ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაციის, ობიექტების კეთილმოწყობისა და სხვა სახის სამუშაოები.

აღნიშნული პროგრამა ფინანსდება შესაბამისი წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან. დამატებითი დაფინანსების წყარო შეიძლება იყოს აგრეთვე საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციები, თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი, კანონმდებლობით ნებადართული სხვა სახსრები. მუნიციპალიტეტისათვის გამოსაყოფი თანხის ოდენობა განისაზღვრება მასში შემავალ სოფლებში მცხოვრებთა რიცხოვნობის მიხედვით. თანხა გამოიყოფა მთავრობის განკარგულებით.

[1] დადგენილება №20 (13.01.2011), დადგენილება №23 (24.01.2012)

პროგრამის მიზნებია:

- პროგრამით გათვალისწინებული თანხის წარმართვა სოფლის პირველი რიგის სოციალურ-ეკონომიკურ საჭიროებათა დასაფინანსებლად;
- სოფლისთვის აქტუალური საკითხებისა და მიმართულებების შერჩევაში მოსახლეობის მაღალი ჩართულობის უზრუნველყოფა;
- მოსახლეობასა და თვითმმართველობის ორგანოთა შორის ურთიერთობის გაუმჯობესება;
- თვითმმართველობის დამოუკიდებლობის ხარისხის ამაღლება.

2011 წელს, პროგრამის ფარგლებში, წალენჯიხის მუნიციპალიტეტს გამოეყო 582.3 ათასი ლარი, ხოლო 2012 წელს - 734 ათასი ლარი. სულ, ორივე წელს, მუნიციპალიტეტი დაფინანსდა 1316.3 ათასი ლარით. ინფორმაცია თემების მიხედვით თანხის განაწილების შესახებ წარმოდგენილია ცხრილში:

2011-2012 წლებში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში გამოყოფილი თანხები თემების მიხედვით			ათასი ლარი
ქალაქი/ თემი	2011 წელი	2012 წელი	სულ
ქ. ჯვარი	93.0	141.8	234.8
ჩქვალერი	26.0	29.4	55.3
ლია	63.6	83.4	147.1
საჩინო	46.7	56.6	103.3
მედანი	20.5	24.3	44.8
ობუჯი	41.4	40.9	82.3
ნაკიფუ	33.7	42.9	76.6
ჭალე	54.4	61.4	115.7
ჯგალი	57.4	70.4	127.8
მიქავა	30.8	36.4	67.2
ეწერი	20.8	25.8	46.6
მუჟავა	23.6	28.4	52.0
ფახულანი	70.5	92.3	162.7
სულ	582.3	734.0	1316.3

სამუშაოებს შორის მნიშვნელოვანი ხვედრითი წილით გამოირჩევა გზების მოხრეშვისა და რეაბილიტაციის, ხიდების მოწყობის სამუშაოები და შეადგენს მთელი

სამუშაოების ღირებულების 23%-ს, სასმელი წყლის სისტემასთან დაკავშირებული სამუშაოები - 17%-ს, ხოლო სკოლამდელი დაწესებულებების მშენებლობა-აღდგენა - 12%-ს.

დიაგრამა 1. თანხების განაწილება სამუშაოების მიხედვით (2011-2012 წ.წ.)

(ათასი ლარი)



პირობითი მოსაზრების საფუძვლები

პირგასამტეხლოს არასწორი აღრიცხვა

2011-2012 წლებში მუნიციპალიტეტმა სხვადასხვა მიმწოდებლებს ხელშეკრულების შესაბამისად, დააკისრა პირგასამტეხლოს გადახდა სამუშაოების დაგვიანებით შესრულების გამო[2]. საჯარიმო თანხას მიმწოდებელი არ იხდიდა შესაბამის ანგარიშზე ჩარიცხვის გზით, არამედ ჯარიმის ოდენობა გაითვალისწინებოდა საბოლოო ანგარიშსწორებისას და აკლდებოდა მისთვის გადასარიცხ თანხას. თანხის ეს ნაწილი, რომელიც უკავდებოდა მიმწოდებლებს, იხარჯებოდა იმავე თემში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში. პირგასამტეხლო არ აღირიცხებოდა შემოსავლებში. შესრულებული სამუშაოების ღირებულებაც ხარჯებში ან არაფინანსური

[2]ხელშეკრულებები: №51 (24.05.2011); №54 (31.05.2011) ; №59 (02.06.2011) ; №60 (03.06.2011); №67 (07.06.2011); №72 (10.06.2011); №49 (17.05.2011); №94 (14.07.2011); №116 (14.09.2011); №76 (14.06.2011); №58 (02.06.2011); №71 (10.06.2011).

აქტივების ზრდაში არასრულად გადარიცხული თანხის ოდენობით იყო ნაჩვენები. ზემოთ აღნიშნულმა განაპირობა შემდეგი ხარვეზები და ნაკლოვანებები:

1. საჯარიმო თანხები 3 430 ლარის ოდენობით, არ აისახა შემოსავლების შესაბამის ანგარიშსა და საბიუჯეტო კლასიფიკაციით განსაზღვრულ შემოსავლების მუხლში.[3]
2. შესრულებული სამუშაოების ღირებულება შემცირდა 3430 ლარით და შესაბამისად, არაზუსტად აისახა ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის მაჩვენებელი.
3. დაირღვა საბიუჯეტო სისტემის ძირითადი პრინციპები[4]:

- **უნივერსალობის პრინციპი**

  პირგასამტეხლო არის ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსულობა და შესაბამისად, უნივერსალობის პრინციპიდან გამომდინარე, მისი მიმართვა კონკრეტული მიზნით, წინასწარ განსაზღვრული გადასახდელების („სოფლის მხარდაჭერის პროგრამა") დასაფინანსებლად, ეწინააღმდეგება საბიუჯეტო კოდექსს.

- **ყოვლისმომცველობის პრინციპი**

  ბიუჯეტის ყველა შემოსულობა, გადასახდელი და ნაშთის ცვლილება სრულყოფილად უნდა აისახოს შესაბამის ბიუჯეტში. ამ შემთხვევაში, პირგასამტეხლოს სახით მიღებული შემოსავლები საერთოდ არ აღირიცხა.

- **კონსოლიდირების პრინციპი**

  თვითმმართველი ერთეულის ყველა შემოსულობა სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიშის სისტემაში უნდა მოექცეს, რაც არ მომხდარა.

როგორც ზემოთ აღინიშნა, 2011 წელს პირგასამტეხლოს დარიცხვისას, ანგარიშსწორებისათვის გადასახდელ თანხას აკლდებოდა ჯარიმის ოდენობა. ორ შემთხვევაში შეცდომით მოხდა გადასარიცხი თანხის დაანგარიშება, რის გამოც მუნიციპალიტეტის მიერ არასწორად გადახდილია 316.8 ლარით მეტი[5].

---

[3] საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №1321, მუხლი 47, პუნქტი 10. სანქციებიდან ჯარიმებიდან მიღებული შემოსავლები უნდა აღირიცხოს სხვა შემოსავლების ანგარიშზე.

[4] საბიუჯეტო კოდექსის მუხლი 4, პუნქტი 1.

[5] №76 (14.06.2011), №50 (24.05.2011).

წინასწარ ანგარიშსწორებისას წარმოდგენილი გარანტიები

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულებების მიხედვით, მიმწოდებელს შეიძლება ჩაერიცხოს თანხა ავანსის სახით სახელშეკრულებო ღირებულების არაუმეტეს 50%-ის ოდენობით. ამისათვის შემსრულებელმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისი გარანტია. 2012 წლის 20 აპრილიდან 21 ივლისამდე პერიოდის განმავლობაში, მიმწოდებლების მიერ წარმოდგენილია 269.7 ათასი ლარის გარანტია. წარმოდგენილი გარანტიები გაცემულია ი/მ მურმან კალანდიას მიერ, 110.5 ათასი ლარის და შპს „კოლხი-2010“-ის მიერ - 159.2 ათასი ლარის ოდენობით.[6] აღნიშნული პირები არ წარმოადგენენ არც საბანკო და არც სადაზღვევო დაწესებულებებს. შესაბამისად, გარანტირების ასეთი მექანიზმის გამოყენება მაღალი რისკის შემცველია.

წარდგენილი გარანტიის ვადები ხშირ შემთხვევაში გულისხმობს რამდენიმე დღეს და არ უზრუველყოფს იმ რისკის დაფარვას, რასაც აღნიშნული გარანტია ემსახურება. მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, შემსყიდველი გარანტიის მექანიზმს ვერ გამოიყენებდა. ცხრილში ასახულია ასეთი გარანტიის რამდენიმე მაგალითი.

[6] ამასთან, შპს „კოლხი-2010“-ის დირექტორი და მურმან კალანდია მამა-შვილია.

ცხრილი 3. გარანტიის ვადებისა და სამუშაოს მიწოდების ვადების ურთიერთ შედარება

დასახელება	*სამუშაოს დასრულების ვადა*	*გარანტიის ვადა*
ლეჭანტურიეს უბანში წყალსადენის გაყვანა	01.10.2012	22.06.2012-04.07.2012 13 დღე
საჭიდაო დარბაზის იატაკის და შინმოუსვლელთა მემორიალის რეაბილიტაცია	01.10.2012	31.05.2012-07.06.2012 8 დღე
ზედა ჭველეს უბანში საბავშვო ბაღის შეკეთება, მინი სპორტული მოედნის მშენებლობა, წყალგამტარი ბოგირის მოწყობა	15.10.2012	12.06.2012-17.06.2012 6 დღე
წყოუშის საბავშვო ბაღის რეაბილიტაციის და შიდა ელ. განათების მოწყობის სამუშაოები	15.10.2012	06.06.2012-13.06.2012 8 დღე
ქ. ჯვარში №1 და №2 საბავშვო ბაღის რეაბილიტაციის სამუშაოები	15.10.2012	08.06.2012-15.06.2012 8 დღე
ქალაქ ჯვარში გარე განათების მოწყობა	15.10.2012	21.06.2012-28.06.2012 8 დღე
ქ. ჯვარში ცენტრალური სტადიონის სარეაბილიტაციო სამუშაოები	01.10.2012	29.05.2012_04.06.2012 7 დღე
ჯგალის თემში სხვადასხვა სამუშაოები	15.10.2012	08.06.2012-15.06.2012 8 დღე
მიქავას თემში სხვადასხვა სამუშაოები	01.10.2012	29.05.2012_05.06.2012 8 დღე
ზედა საჩინოს უბნის წყალსადენის მოწყობის სამუშაოები	01.10.2012	31.05.2012-07.06.2012 8 დღე

მუნიციპალიტეტს ესაჭიროება საიმედო, მყარი ფინანსური გარანტია, რაც დაიცავს ზარალის მიღებისგან რისკის რეალიზების შემთხვევაში. როგორც დიაგრამიდან ჩანს, გარანტორი ორგანიზაციების მუნიციპალიტეტის წინაშე არსებული საგარანტიო ვალდებულებები საკმაოდ მაღალია და ცალკეული თარიღების მიხედვით - 77.7 ათასს, 64.9 ათასს და ა.შ. აღწევს. თუმცა, პასუხისმგებელი პირის განმარტებით, მუნიციპალიტეტისთვის არ იყო ცნობილი, ჰქონდა- თუ არა გარანტორს ფულადი სახსრები საბანკო ანგარიშზე ან სხვა ლიკვიდური აქტივები, რაც წარმოდგენილი გარანტიების საიმედოობას გაზრდიდა.

დიაგრამა 2. მუნიციპალიტეტის წინაშე არსებული გარანტორების ვალდებულებები ცალკეული თარიღების მიხედვით



შესყიდვის შესაბამისი წესით დადგენილია გარანტიის წარმოდგენის აუცილებლობა წინასწარი ანგარიშსწორების შემთხვევაში[7]. მიუხედავად ამისა, 2012 წელს გაფორმდა ათი ისეთი ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებდა ავანსის გაცემას შესაბამისი გარანტიის წარმოდგენის გარეშე. გარანტია მაინც წარმოადგინა 8 მიმწოდებელმა, ერთ მათგანს ავანსით არ უსარგებლია, ხოლო ერთ შემთხვევაში - ი/მ ჯანო საჯაიას 13 ათასი ლარის ოდენობით მიეცა ავანსი, რომლის შესაბამისი გარანტია მიმწოდებელს არ წარმოუდგენია. მუნიციპალიტეტის მიერ ხელშეკრულებაში მსგავსი პირობის ჩადება ან ავანსის გაცემა გარანტიის წარმოდგენის გარეშე, არ შეესაბამება „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესს".

[7] „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი", მუხლი 19 - წინასწარი ანგარიშსწორების შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია წარუდგინოს შემსყიდველ ორგანიზაციას წინასწარ გადასახდელი თანხის ოდენობის გარანტია ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით, გარდა ამ მუხლის მე-9 პუნქტით განსაზღვრული სახელმწიფო შესყიდვისა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევებისა.

მიმწოდებლებისათვის დაუსაბუთებლად გადარიცხული თანხები

2011 წელს ი/მ მურად კვარაცხელიამ ჯგალის თემში შეასრულა ლეხარჩილეს უბნის გზის მოხრეშვის სამუშაოები[8]. პროექტის შედგენისას, გაანგარიშებაში დაშვებულ იქნა შეცდომა: ქვიშა-ხრეშოვანი მასალის ღირებულებად ნაცვლად 360 ლარისა, პროექტში შეცდომითაა მითითებული 630 ლარი.[9] აღნიშნული შეცდომა არ გასწორებულა არც წარმოდგენილი ფორმა №2-ით და არც ექსპერტიზის დასკვნით. მიმწოდებელს თანხა გადაერიცხა შესრულებული სამუშაოების აქტისა და ექსპერტიზის დასკვნის შესაბამისად. მუნიციპალიტეტის მიერ დაუსაბუთებლად გადახდილია 270 ლარი.

2011 წელს ი/მ თენგიზ შონიამ შეასრულა ქ.ჯვარში ცენტრის კეთილმოწყობის სამუშაოები. მის მიერ წარმოდგენილი ფორმა №2-ით, შესრულებულ სამუშაოთა მთლიანი ღირებულება განისაზღვრა 19.4 ლარით, თუმცა შპს ,,ზუგდიდექსპერტიზის" დასკვნით, შესრულებულია 19.2 ლარის სამუშაოები. მუნიციპალიტეტმა ანაზღაურება განახორციელა შესრულებული სამუშაოების აქტის შესაბამისად. დაუსაბუთებლად გადახდილია 206 ლარი. ანალოგიურად ჩაერიცხა თანხა ი/მ ვიტალი ფიფიასა და ი/მ ონისე შამუგიას – 77 ლარის ოდენობით[10].

2012 წელს დაუსაბუთებლად ჩაერიცხა ი/მ ჯანო საჯაიას და ი/მ თეიმურაზ ქარდავას 481 ლარი, ხოლო შპს ,,არგას და კომპანიას" - 37 ლარით მეტი აუნაზღაურდა ექსპერტიზის დასკვნით დადასტურებული სამუშაოების ღირებულებასთან შედარებით[11].

სულ, მუნიციპალიტეტის მიერ დაუსაბუთებლად გადახდილია 1071 ლარი. სავარაუდოთ, აღნიშნული თანხა თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან ზედმეტად არის გადახდილი.

---

[8] ხელშეკრულება №142 (01.12.2011).

[9] ხარჯთაღრიცხვისა და ფორმა №2-ის მიხედვით, 1მ³ მასალის ღირებულებაა 9 ლარი და მოტანილია 40 მ³ ქვიშა.

[10] ხელშეკრულება №75 (13.06.2011), №50 (24.05.2011), №59 (02.06.2011)

[11] ხელშეკრულება №90 (28.05.2012), ექსპერტიზის აქტი №170,

2012 წლის 1 ივლისის შემდეგ გაფორმებული ხელშეკრულებები

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2012 წლის 12 ივლისის ბრძანებით[12], სამშენებლო სამუშაოების გამარტივებული შესყიდვისას შესრულებული სამუშაოების ღირებულება განისაზღვრება ფაქტობრივი დანახარჯების მიხედვით. წალენჯიხის მუნიციპალიტეტში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში, 2012 წლის 1 ივლისის შემდეგ გაფორმდა ოთხი ხელშეკრულება, საერთო ღირებულებით 19.4 ათასი ლარი[13]. აღნიშნული ხელშეკრულებების ფარგლებში შესრულდა ისეთი სამუშაოები, როგორიცაა: გარე განათების მოწყობა, წყალსადენის შეკეთება, მოსაცდელის მშენებლობა, წისქვილის მშენებლობა და სხვა სამუშაოები.

საფინანსო სამსახურის უფროსის განმარტებით, შესრულებული სამუშაოების ღირებულების ანაზღაურებისას, მუნიციპალიტეტს არ მოუთხოვია ფაქტობრივი ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტები, რითაც დაირღვა ზემოთ მოყვანილი ბრძანების მოთხოვნები. გასათვალისწინებელია, რომ ხელშეკრულებებიდან სამი მათგანი გაფორმებულია 4, 5 და 9 ივლისს. აღნიშნული ბრძანება გამოიცა 12 ივლისს, ხოლო მისი მოქმედება გავრცელდა 2012 წლის 1 ივლისის შემდეგ პერიოდზე. შესაბამისად მუნიციპალიტეტი ბრძანების მოთხოვნებს ვერ გაითვალისწინებდა ხელშეკრულების პირობების განსაზღვრისას.

აუდიტის ჯგუფის მოთხოვნის საფუძველზე, მუნიციპალიტეტმა ინდ. მეწარმეებისგან გამოითხოვა აღნიშნული ინფორმაცია. თუმცა, ვერ წარმოგვიდგინეს №124 ხელშეკრულების შესაბამისი ფაქტობრივი ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტები (სახელშეკრულებო თანხა - 13.2 ათასი ლარი), ხოლო წარმოდგენილ დოკუმენტებში შეუძლებელია გამიჯვნა, თუ რა ფაქტობრივი ხარჯი იქნა გაწეული მუნიციპალიტეტთან გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში.

---

[12] საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების მინისტრის ბრძანება №1-1/1463

[13] ხელშეკრულება №119 (04.07.2012), №120 (05.07.2012), №124 (09.07.2012), №171 (24.09.2012)

სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა

2011-2012 წლებში წალენჯიხის მუნიციპალიტეტში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში განსახორციელებელი სამუშაოების სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია მომზადებულია შპს „დიაზინი-2008“-ის მიერ, პროექტის შედგენა ხდებოდა ისეთი შესყიდვების განხორციელების დროსაც, როგორიცაა, ტრაქტორების, შესაწამლი აპარატების, სკამებისა და სანაგვე ურნების შეძენა. მსგავსი პროექტების შესრულებისთვის შპს-თვის ანაზღაურებულია 2.2 ათასი ლარი.

მათ შორის, ორ შემთხვევაში ტრაქტორების შესყიდვისას, პროექტი მომზადდა და დამტკიცდა ხელშეკრულების დასრულების შემდეგ, იმ დროისათვის, როდესაც ხელშეკრულება უკვე გაფორმებული, საქონელი მიწოდებული და თანხა გადარიცხული იყო. აღნიშნულ ორ პროექტში მუნიციპალიტეტს გადახდილი აქვს 1.2 ათასი ლარი. შპს-ის დირექტორის წერილობითი განმარტებით, ხარჯთაღრიცხვების შედგენისას რწმუნებულებმა წარმოუდგინეს შეძენილი ტრაქტორის ღირებულების დამადასტურებელი დოკუმენტი (სასაქონლო ზედნადები) და ეს ღირებულება ასახა პროექტში.

მუჟავას თემისთვის DT-75B მარკის ტრაქტორის შეძენის პროცესი.



2011-2012 წლებში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში შესასრულებელი სამუშაოების ხარჯთაღრიცხვების მომზადებისთვის, შპს „დიზაინი 2008“-ს აუნაზღაურდა 37.9 ათასი ლარი. სახარჯთაღრიცხვო მომსახურება შეძენილია „სოფლის პროგრამის ფარგლებში“ განხორციელებული ყველა პროექტისთვის. ისეთი

სამუშაოებისთვის, რომელთაც არ სჭირდება რთული აზომვებისა და გაანგარიშების ჩატარება, სასურველია, პროექტის მომზადება უზრუნველყოს გამგეობის შესაბამისმა სტრუქტურულმა ერთეულმა[14].

ხელშეკრულებებისა და მოსახლეობის კრების ოქმის შეუსაბამობა

2011 წლის 24 აგვისტოს, მუნიციპალიტეტის მიერ ი/მ თეიმურაზ ლატარიასთან გაფორმდა ხელშეკრულება ნაკიფუს თემში სააბულაძეოს უბანში საძიებო საექსპლოატაციო ჭაბურღილის მოწყობის სამუშაოებზე, ღირებულებით - 2537 ლარი. ინსპექტირების ჯგუფის აქტით და მიმწოდებლის წერილით ირკვევა, რომ ჭაბურღილი მოხვდა მაგარ გრუნტში და წყლის მიღება ვერ მოხერხდებოდა. აღნიშნული წერილი და დასკვნა დათარიღებულია იმავე წლის 31 აგვისტოთი. მიმწოდებელს აუნაზღაურდა 824 ლარი. დარჩენილი თანხა, მოსახლეობასთან შეთანხმებით, მიმართულ იქნა ლეჟას უბნის საბავშვო ბაღის მცირე შეკეთებისთვის, რაზეც ოქმი შედგენილია 2011 წლის 21 ივნისს,[15] ხოლო ხელშეკრულება გაფორმდა 2011 წლის 21 ივლისს. ჭაბურღილის მოწყობის პროექტი დამტკიცებულია საჭირო გეოლოგიური დაძიების გარეშე.

კრების ოქმისა და ხელშეკრულებების თარიღები არ შეესაბამება ოქმის შინაარსს. წარმოდგენილი საბუთებით თუ ვიმსჯელებთ, მოსახლეობამ წინასწარ, ივნისის თვეში იცოდა, რა შედეგებით დასრულდებოდა იმავე წლის აგვისტოს ბოლოს გაფორმებული ხელშეკრულება, რაც არარეალურია. ამავე დროს, საბავშვო ბაღის შეკეთებაზე ხელშეკრულება უფრო ადრე გაფორმდა, ვიდრე ჭაბურღილის მოწყობაზე.

მოსახლეობისათვის გადაცემული მასალები

2011 წელს „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში, ხელშეკრულებისა და მოსახლეობის კრების ოქმების შესაბამისად, სხვადასხვა მიმწოდებლებს შეძენილი აქვთ

---

[14] წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულება, მუხლი 13; სტრუქტურული ერთეულების ძირითადი ფუნქციები, გ პუნქტი: ინფრასტრუქტურის, ურბანიზაციისა და მშენებლობის სამსახური: მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობა და ურბანული განვითარების დაგეგმვა. მუნიციპალიტეტის სივრცით ტერიტორიული დაგეგმვისა და ქალაქმშენებლობის დოკუმენტების შემუშავება, მშენებლობის ნებართვების თაობაზე გადაწყვეტილებების მომზადება.
ინფრასტრუქტურის, ურბანიზაციისა და მშენებლობის სამსახურის დებულება, მუხლი 3, ი პუნქტი: სამსახური დადგენილი წესით უზრუნველყოფს ტერიტორიის კეთილმოწყობის მუნიციპალური პროგრამებისა და პროექტების მომზადებას და მათ განსახორციელებლად რეკომენდაციებისა და წინადადებების შემუშავებას.

[15] კრების ოქმში განხილულია სააბულაძეოს უბანში ჭაბურღილის მოწყობასთან დაკავშირებული დაბრკოლება და მიღებულია გადაწყვეტილება მორჩენილი თანხით ბაღის შეკეთების შესახებ.

1842 ლარის ღირებულების მასალები: ელექტრო ძრავი, წყლის რეზერვუარი და სხვადასხვა დიამეტრის პოლიეთილენის მილები. მიმწოდებელს ევალებოდა მხოლოდ მასალების შეძენა და მიწოდება. აღნიშნული მასალები გადაცემული აქვს შესაბამისი თემის მოსახლეობას, რაზეც გაფორმებულია მიღება-ჩაბარების აქტები. თუმცა, შემდგომ მოხდა თუ არა აღნიშნული მასალების დამონტაჟება, საჭიროებისამებრ გამოყენება - ამის დამადასტურებელი დოკუმენტი ვერც გამგეობამ და ვერც შესაბამისი თემის რწმუნებულმა ვერ წარმოადგინა.

მიზნობრიობის განსაზღვრის კრიტერიუმები

მთავრობის დადგენილების მიხედვით, პროგრამის ფარგლებში უნდა შესრულდეს ისეთი ღონისძიებები, რომლითაც ისარგებლებს სოფლის მოსახლეობის უმრავლესობა. შედეგი იქნება ხანგრძლივვადიანი და დასაქმდებიან ადგილობრივი მცხოვრებლები. თანხის მიზნობრივად გამოყენებაზე პასუხისმგებელია თანხის მიმღები - მუნიციპალიტეტის გამგეობა.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტში შესრულებული სამუშაოები ძირითადად აკმაყოფილებს ზემოთ ჩამოთვლილ კრიტერიუმებს, თუმცა, გამოვლინდა გარკვეული ნაკლოვანებები.

ცხრილი 1. მიზნობრიობის განსაზღვრის კრიტერიუმები

(ათასი ლარი)

N	სამუშაოს დასახელება	პროექტების რაოდენობა/თანხა	აკმაყოფილებს	ნაწილობრივ აკმაყოფილებს/ არ აკმაყოფილებს
1.	სასმელი წყლის სისტემები	62 – 226.4	60 – 194.4	2- 32.0
2.	სკოლამდელი დაწესებულებები	27 – 160.5	27 – 160.5	
3.	გზები, ხიდები	94 – 308.0	24 – 111.0	70 – 197.0
4.	გარე განათება	34 – 102.8	34 – 102.8	
5.	სპორტული მოედნები	9 – 69.0	9- 69.0	
6.	თავშეყრის ადგილების მოწყობა	18 – 95.6	18 -95.6	
7.	ტრაქტორებისა, სოფ. ტექნიკის შეძენა	22 – 89.3	19 – 77.3	3 – 12.0
8.	სხვა	100 – 264.6	99 – 263.5	1-1.1

კრიტერიუმი 1. პროგრამით სარგებლობის საშუალება უნდა ჰქონდეს სოფლის მოსახლეობის უმრავლესობას.

გამოვლენილი გარემოებები:

- 2012 წელს სოფლებში - მიქავასა და ლეჯოლოხეში წისქვილების მოსაწყობად განხორციელდა ორი შენობის სამშენებლო სამუშაოები, საერთო ღირებულებით - 10 ათასი ლარი. შესაბამისი თემის რწმუნებულის განმარტებით, ახალ შენობებში უნდა მომხდარიყო არსებული ძველი წისქვილებიდან დანადგარების გადატანა და დამონტაჟება. აღნიშნულზე ვალდებულება აიღო მოსახლეობამ. პირობა დღემდე შეუსრულებელია და შესაბამისად, შენობები დანიშნულებისამებრ არ გამოიყენება. ამასთან, არ არის მიღწეული მოსახლეობის კრების ოქმით განსაზღვრული მიზანი.
- 2012 წელს სოფლებში - ზედა საჩინოსა და ეწერში შესრულდა წყლის რეაბილიტაციის სამუშაოები, ღირებულებით - 32 ათასი ლარი. აღნიშნული სამუშაოები ითვალისწინებდა არსებული ავზიდან მოსახლეობამდე მისაყვანი წყლის სისტემის მოწყობას. მოსახლეობას დღემდე აქვს წყლით მომარაგების პრობლემა. გამგეობის ინფრასტრუქტურის, ურბანიზაციისა და მშენებლობის სამსახურის უფროსის განმარტებით, ეს განპირობებულია იმით, რომ თავად ავზი ვერ მარაგდება საკმარისი რაოდენობის წყლით.

კრიტერიუმი 2. შესყიდულ სამუშაოს (საქონელს, მომსახურებას) უნდა გააჩნდეს ხანგრძლივი გამოყენების დანიშნულება, არ უნდა იყოს მიმართული ერთჯერადი, მოკლევადიანი მოხმარებისათვის.

გამოვლენილი გარემოებები:

- 2011-2012 წლებში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში, მუნიციპალიტეტში განხორციელდა 127.5 ათასი ლარის ღირებულების გზის მოხრეშვის სამუშაოები. მიუხედავად იმისა, რომ სამუშაოების შედეგი უმეტესად არის მცირეხნიანი, მოსახლეობა პრიორიტეტად მაინც მას ასახელებს. ასეთი სამუშაოების მოკლევადიანობის ერთ-ერთი არგუმენტი ისიც არის, რომ

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ორ შემთხვევაში, ობუჯისა და მიქავას თემში რეაბილიტირებული გზის გარკვეული ნაწილი გადაირეცხა წვიმების შედეგად, სამუშაოების მიწოდების ვადის დასრულებამდე.

- სოფელ ეწერში 2012 წელს შეიძინეს ამერიკული თეთრი პეპლის საწინააღმდეგო ხუთი შესაწამლი აპარატი. აღნიშნული აპარატები გამოიყენა მხოლოდ სოფლის მოსახლეობის ნაწილმა. მოგვიანებით კი ორი ცალი, საკუთარი საჭიროებისთვის, გადაეცა სოფლის ერთ-ერთ მცხოვრებს.

კრიტერიუმი 3. სამუშაოთა შესასრულებლად მაქსიმალურად უნდა დასაქმდეს შესაბამისი სოფლის/თემის მოსახლეობა.

გამოვლენილი გარემოება:

აღნიშნული კრიტერიუმის შესრულების დასადასტურებლად მოთხოვნილი ინფორმაცია ნაწილობრივ იქნა წარმოდგენილი. მოწოდებული მონაცემების შესწავლით გამოვლინდა, რომ პროექტების განხორციელებისას შემსრულებლებს ჰყავდათ დასაქმებული ადგილობრივი, შესაბამის თემში ან სოფელში მცხოვრები მოსახლეობა. თემების მიხედვით დასაქმებულთა რაოდენობის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია ცხრილში.

ცხრილი 2. „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში დასაქმებულთა რიცხოვნობა

ინფორმაციის წყარო: მიმწოდებლების მიერ წარმოდგენილი მონაცემები

თემის დასახელება	დასაქმებული ადგილობრივი მოსახლეობა 2011-2012 წწ.
მედანი	12
მიქავა	27
საჩინო	27
ჩქვალერი	15
ფახულანი	32
ნაკიფუ	32
ლია	8

სხვა მნიშვნელოვანი საკითხების ხაზგასმა

ანგარიშგების ხარვეზი

2012 წელს მუნიციპალიტეტს „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში გამოეყო 734.0 ათასი ლარი, ხოლო ფაქტობრივმა საკასო შესრულებამ შეადგინა 726.4 ათასი ლარი, რაც არ შეესაბამება 2012 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს. აღნიშნული ანგარიშის მიხედვით, მუნიციპალიტეტის მიერ სოფლის პროგრამის ფარგლებში გახარჯულია 734.0 ათასი ლარი[16]. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, სხვაობა – 7.6 ათასი ლარი არ დაბრუნებულა სახელმწიფო ბიუჯეტში. 2013 წლის დასაწყისისთვის არსებული სახსრების ნაშთი შეადგენდა 6.0 ათას ლარს. შესაბამისად, 1.6 ათასი ლარი – სოფლის პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი თანხა, დაიხარჯა სხვა ღონისძიებებისთვის.

ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

2012 წლის 24 სექტემბერს მუნიციპალიტეტმა „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში გააფორმა ხელშეკრულება ი/მ კოტე შანავასთან, ღირებულებით - 693 ლარი (ამავე თემში სხვა პროექტების განხორციელების შემდეგ დარჩენილ თანხაზე). შესაბამისი თანხის გადარიცხვა არ მომხდარა მიმწოდებლისათვის სამუშაოების შეუსრულებლობის გამო. მუნიციპალიტეტმა ვერ წარმოგვიდგინა ვერც დანართი შეთანხმება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ ან დოკუმენტი იმის შესახებ, თუ რა ზომები მიიღეს ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის გამო.

გადასწორებული ხელშეკრულება

მუნიციპალიტეტმა 2012 წლის 10 მაისს ხელშეკრულება გაუფორმა ი/მ ავთანდილ ჯოლოხავას, ღირებულებით 11 ათასი ლარი. აღნიშნულ მიმწოდებელზე (შესაბამისი

[16] საბიუჯეტო კოდექსის მუხლი 16. სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების შესრულება ხდება საკასო მეთოდით.

გარანტიის წარმოდგენის შემდეგ) ავანსის სახით გაცემულია 8 ათასი ლარი - სახელშეკრულებო ღირებულების 73%. კონკრეტული ხელშეკრულების მიხედვით, გასაცემი ავანსის ოდენობა ვერ დგინდება (პროცენტული მაჩვენებელი საწერი კალმით არის გადასწორებული). ყველა სხვა შემთხვევაში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულებები ითვალისწინებდა ავანსის გაცემას არაუმეტეს სახელშეკრულებო ღირებულების 50%-ისა.

პროექტის ხარვეზი

2012 წელს სოფელ ჯგალში მოეწყო ბოგირი, ღირებულებით - 1.1 ათასი ლარი, თუმცა, თემის რწმუნებულის განმარტებით, ბოგირი ზოგჯერ წყალს არ ატარებს (ბოგირის პარამეტრები არ არის სათანადო და ვერ ახერხებს დიდი რაოდენიობით წყლის გატარებას). შესაბამისად, განხორციელებული პროექტით ვერ იქნა მიღწეული მოსახლეობის კრების ოქმით განსაზღვრული მიზანი.

გზის მოხრეშვის სამუშაოები

გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები თავისი არსით არის გზების მიმდინარე შეკეთება, რომელსაც, ტექნიკური თვალსაზრისით, შეიძლება არ ჰქონდეს ხანგრძლივი გამოყენების ეფექტი. მიუხედავად ამისა, მოსახლეობა ძირითად პრიორიტეტად მაინც ამ სამუშაოს ასახელებს, რომელიც მიზანშეწონილია დაიგეგმოს გზის საფარის დამცავ ღონისძიებებთან ერთად.

აუდიტის დასკვნა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსაზრებით, გარდა „პირობითი მოსაზრების საფუძვლების" საკითხების შესაძლო გავლენისა, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2011-2012 წლების „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით" შესრულებული სამუშაოები ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, განხორციელებულია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, აუდიტის ანგარიში ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურში.

აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აუდიტორ–ასისტენტი:
თეა არველაძე თ.არველაძე ხელმოწერა 19.11.2013 თარიღი

აუდიტორ–ასისტენტი:
სოფიო გელთაძე ს.გელთაძე ხელმოწერა 19.11.2013 თარიღი